საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ივნისის დადგენილება №282

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესი

საქართველოს პარლამენტთან არსებული
ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო

თბილისი
2021

ISBN 978-9941-8-3120-1

საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) აღმართვის და გამოფენის წესი





1. საქართველოს სახელმწიფო დროშას საქართველოს ტერიტორიაზე, ისევე როგორც ყველა სხვა დროშასთან, სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (დროშასთან) მიმართებაში ენიჭება უპირატესობა და საპატიო ადგილი.

2. საქართველოს სახელმწიფო დროშა სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (დროშასთან) ერთად აღიმართება და გამოიფინება მხოლოდ საპატიო ადგილას.

3. საქართველოს სახელმწიფო დროშა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) ღია ცის ქვეშ მუდმივი აღმართვის და გამოფენის ადგილებში განათებულია ან აღმართულია მხოლოდ დღის ნათელ საათებში.

4. საქართველოს სახელმწიფო დროშა სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (დროშასთან) ერთად აღმართვისას იშლება და ფრიალისას არ ეხება მიწას, წყალს, კედელს.

5. სახელმწიფო ღონისძიებისას საქართველოს სახელმწიფო დროშა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) შენობაში შეაქვთ აღმართული.

6. სახელმწიფო ღონისძიებისას საქართველოს სახელმწიფო დროშა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) აღიმართება და დაეშვება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის თანხლებით.

7. საქართველოს სახელმწიფო დროშა, უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის დროშა, მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა დროშა აღიმართება და გამოიფინება თითოეული მისთვის მინიჭებულ ადგილას, ერთი სიგრძის ტარზე ან ფლაგშტოკზე, ერთ სიმაღლეზე.

8. საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის და სხვა დროშების, სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) მწკრივში, წრიულად და ნახევარწრიულად აღმართვისას ან გამოფენისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება ან გამოიფინება წარმომადგენლის ხელმარჯვნიდან მარცხნივ სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების და სხვა დროშების, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების (დროშების) ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აფხაზურის), ანბანის ასოთა თანმიმდევრობით.

9. საქართველოს სახელმწიფო დროშის და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) აღმართვისას ან გამოფენისას დამსწრე დგას დროშების მიმართ პირისახით.



დაუშვებელია:

1. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) არადანიშნულებით გამოყენება;
2. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) შემკობა ნებისმიერი გამოსახულებით, მოხატვა;
3. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) დაზიანება;
4. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) შენახვა დროშისთვის საფრთხის შემცველ ან შეუფერებელ პირობებში;
5. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) დამცირება, სხვა დროშასთან მიმართებაში წესისათვის შეუსაბამო აღმართვით და გამოფენით.

საქართველოს ტერიტორიაზე დროშების აღმართვის და გამოფენის თანმიმდევრობა მნიშვნელობის მიხედვით

- საქართველოს სახელმწიფო დროშა;
- სხვა ქვეყნის სახელმწიფო ან ეროვნული დროშა;
- საერთაშორისო ორგანიზაციის დროშა;
- საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის დროშა;
- საქართველოს მუნიციპალური დროშა;
- საქართველოს საჯარო დაწესებულების დროშა;
- საზოგადოებრივი გაერთიანების/ორგანიზაციის დროშა;
- სხვა დროშა.



საქართველოს სახელმწიფო დროშის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (დროშასთან) ერთად აღმართვის და გამოფენის წესი



1. საქართველოს სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენელი, ერთ-ერთი სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) არქონის შემთხვევაში აღმართავს და გამოფენს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო დროშას.

2. ორი დროშის – საქართველოს სახელმწიფო დროშის და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) – აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება საქართველოს სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის ხელმარჯვნივ, საპატიო ადგილას.



3. სამი და ხუთი დროშის აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება შუაში, ხოლო ყველა სხვა დროშა (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) ქართული სახელწოდების მიხედ-ვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის (აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის), ანბანის ასოთა მონაცვლეობით, წარმომადგენლის ხელმარჯვნიდან მარცხ-ნივ.





4. ოთხი დროშის აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება მწკრივში მეორე, წარმომადგენლის ხელმარჯვნივ, ხოლო ყველა სხვა დროშა (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმ-წიფო ენის, ქართულის (აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის), ანბანის ასოთა მონაცვლეობით წარმომადგენლის ხელმარცხნიდან მარჯვნივ.



5. ექვსი და მეტი დროშის აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება წარმომადგენლის ხელმარჯვნივ მწკრივის კიდეში პირველი და იკავებს საპატიო ადგილს, ხოლო ყველა სხვა დროშა (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის, (აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის), ანბანის ასოთა თანმიმდევრობით, მწკრივში წარმომადგენლის ხელმარჯვიდან მარცხნივ.



6. დროშების წრიულად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა წრის შუა საპატიო ადგილას აღიმართება, ხოლო ყველა სხვა დროშა (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის (აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის) ანბანის ასოთა თანმიმდევრობით, წრიულად საათის ისრის მიმართულებით.



7. შენობის შესასვლელთან დროშების ნახევარწრიულად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა მთავარი შესასვლელის პირდაპირ აღიმართება, შუა საპატიო ადგილას, ხოლო ყველა სხვა დროშა (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის (აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის) ანბანის ასოთა თანმიმდევრობით, წარმომადგენელი შენობის მხრიდან წრიულად საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით.



8. შენობის შესასვლელთან, წარმომადგენელი დაწესებულების მხრიდან მარჯვნივ, გზის სავალი ნაწილის გასწვრივ, დროშების ერთ მწკრივად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა მწკრივში აღიმართება ბოლო; ყველა სხვა დროშა (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის - ქართული (აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის) ანბანის ასოთა თანმიმდევრობით, საქართველოს სახელმწიფო დროშიდან შენობის მიმართულებით.



9. შენობის შესასვლელთან, გზის სავალი ნაწილის გასწვრივ, დროშების ორ მწკრივად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება წარმომადგენელი დაწესებულების ხელმარჯვნივ მწკრივში ბოლო; ყველა სხვა დროშა (სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის (აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის) ანბანის ასოთა თანმიმდევრობით, ორივე მწკრივში საქართველოს სახელმწიფო დროშიდან შენობის მიმართულებით.



10. შენობის შესასვლელთან, გზის სავალი ნაწილის გასწვრივ დროშების ორ მწკრივად აღმართვისას საქართველოს ორი სახელმწიფო დროშა აღიმართება წარმომადგენელი დაწესებულების მხრიდან ორივე მწკრივში ბოლო; ყველა სხვა დროშა (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის - ქართული (აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის) ანბანის ასოთა თანმიმდევრობით, ორივე მწკრივში საქართველოს სახელმწიფო დროშიდან შენობის მიმართულებით.



11. საქართველოს სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის მიერ მხოლოდ ერთი დროშის აღმართვისას, აღიმართება საქართველოს სახელმწიფო დროშა დაწესებულების შენობის წინ და შენობის სახურავზე.



12. საქართველოს სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის შენობასთან დროშებისა და ფლაგშტოკების რაოდენობის მიუხედავად, საქართველოს სახელმწიფო დროშა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) აღიმართება ზემოთ განსაზღვრული წესის შესაბამისად.



საქართველოს სახელმწიფო დროშის და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) სხვა დროშებთან ერთად აღმართვის და გამოფენის წესი

1. საქართველოს სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლისას ერთი დროშის აღმართვის შემთხვევაში, აღიმართება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო დროშა სახელმწიფო წარმომადგენლის ხელმარჯვნივ.



2. საქართველოს სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის მიერ ორი დროშის (ხელმარცხნივ და ხელმარჯვნივ) აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა წარმომადგენლის ხელმარჯვნივ საპატიო ადგილას, ხოლო სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) წარმომადგენლის ხელმარცხნივ აღიმართება.



3. საქართველოს სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენელთან ორი დროშის წარმომადგენლის ხელმარჯვნივ აღმართვისას, საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება საპატიო ადგილას წარმომადგენლის ხელმარჯვნივ კიდეში პირველი.



4. საქართველოს სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენელთან სამი დროშის, ორი ხელმარჯვნივ და ერთი ხელმარცხნივ აღმართვისას, საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება წარმომადგენლის ხელმარჯვნივ შუაში.



5. სამი და ხუთი დროშის ერთად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა სხვა დროშებთან (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებთან (დროშასთან) მიმართებაში შუა ადგილას აღიმართება.



6. ორი სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენელი, თითოეული წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფო დროშით და სახელმწიფო მნიშვნელობის საკუთარი სიმბოლოთი (დროშით): ადგილსამყოფელი დაწესებულების წარმომადგენელი ხელმარჯვნივ საპატიო ადგილს უთმობს სტუმარს. ორივე წარმომადგენელი აღმართავს საქართველოს სახელმწიფო დროშას და იმ დაწესებულების სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშას), რომელსაც პირადად წარმოადგენს; ორივე შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო დროშა მარჯვნივ საპატიო ადგილას აღიმართება.



7. ორი წარმომადგენელი სამი დროშის – საქართველოს სახელმწიფო დროშის, სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის დროშის და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) აღმართვისას: თითოეული აღმართავს სამივე დროშას და ორივე შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო დროშა შუა საპატიო ადგილას აღიმართება.



8. სამი წარმომადგენელი, თითოეული წარმომადგენელი ერთი დროშით და ერთი საერთო დროშით: თითოეული აღმართავს საკუთარ დროშას და სამივე აღმართავს ერთ საერთო დროშას, ოთხი დროშიდან საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება რიგით მეორე საპატიო ადგილას.



საქართველოს სახელმწიფო დროშის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (დროშასთან) ერთად აღმართვის და გამოფენის წესის სხვა შემთხვევები

1. სახელმწიფო წარმომადგენლების მაგიდასთან ორი დროშის აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება წარმომადგენლისგან ხელმარჯვნივ, საპატიო ადგილას.

2. სახელმწიფო წარმომადგენლების მაგიდასთან სამი დროშის აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება შუა საპატიო ადგილას.

3. სახელმწიფოს (საჯარო დაწესებულებების) წარმომადგენლების მრგვალ მაგიდასთან შეხვედრისას საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად, მაგიდაზე სხვა დროშების მწკრივში წრიულად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა მთავარი შესასვლელის პირდაპირ აღიმართება, შუა საპატიო ადგილას, ან მრგვალი მაგიდის შუა საპატიო ადგილას, ხოლო ყველა სხვა დროშა (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის) ანბანის ასოთა თანმიმდევრობით, საათის ისრის მიმართულებით.





აღლუმი

აღმართული დროშებით მსვლელობისას:

1. გზის სავალი ნაწილის გასწვრივ აღმართული საქართველოს სახელმწიფო დროშის, სხვა დროშის (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) მწკრივით მსვლელობისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღმართულია მწკრივში პირველი.



2. გზის სავალი ნაწილის მიმართ აღმართული საქართველოს სახელმწიფო დროშის და სხვა დროშის (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) მწკრივით მართობულად მსვლელობისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღმართულია მწკრივში პირველი წარმომადგენლის მხრიდან ხელმარჯვნივ კიდეში.



3. სხვა შემთხვევაში აღმართული საქართველოს სახელმწიფო დროშის, სხვა დროშის (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) მწკრივით გზის სავალი ნაწილის მიმართ მართობულად მსვლელობისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღმართულია მწკრივის ორივე კიდეში, წარმომადგენლის ხელმარჯვნივ და ხელმარცხნივ.



სტადიონზე

სპორტული ღონისძიებისას დროშების წრიულად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა სპორტული არენის მთავარი შესასვლელის პირდაპირ საპატიო ადგილას აღიმართება, ხოლო ყველა სხვა დროშა (უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის), სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) და სხვა ქართული სახელწოდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის (აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურის) ანბანის ასოთა თანმიმდევრობით, წრიულად საათის ისრის მიმართულებით.



გლოვა

1. გლოვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა, სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (დროშასთან) ერთად ფლაგშტოკის 1/3 სიმაღლით არის დაშვებული და აღმართულია ფლაგშტოკის 2/3 სიმაღლეზე.



2. გლოვისას საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) დაშვების წესი: საქართველოს სახელმწიფო დროშა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) აღიმართება ფლაგშტოკის ბოლომდე და უკვე შემდეგ დაეშვება ფლაგშტოკის 1/3 სიმაღლით, ფლაგშტოკის 2/3 სიმაღლეზე.



3. გლოვისას დაშვებული საქართველოს სახელმწიფო დროშის და საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოს (დროშის) ჩამოხსნის წესი: ფლაგშტოკის 1/3 სიმაღლით დაშვებული და ფლაგშტოკის 2/3 სიმაღლეზე აღმართული დროშა აღიმართება და უკვე შემდეგ დაეშვება და ჩამოიხსნება.



4. გლოვისას საქართველოს სახელმწიფო დროშისა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) ერთად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (დროშა) აღიმართება შავი ბაფთით, რომლის სიგრძეც სახელმწიფო დროშის და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (დროშის) სიმაღლის 1/2-ს არ აღემატება



5. გლოვისას დროშების გამოფენის შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო დროშა სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (დროშასთან) ერთად გამოფენილია შავი ბაფთით.

საქართველოს სახელმწიფო გერბთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (გერბის, ემბლემის) გამოსახვის და გამოფენის წესი

1. საჯარო დაწესებულება, სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (გერბის, ემბლემის) არქონის შემთხვევაში ან მხოლოდ ერთი სიმბოლოს გამოსახვისას, გამოსახავს საქართველოს დიდ ან მცირე სახელმწიფო გერბს სრული სახით, ფერში, ერთ ფერში, ფერისა და მეტალის ჰერალდიკური დაშტრიხვის წესის გამოყენებით.
2. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (გერბი, ემბლემა) გამოისახება ფერში, კონტურით, ერთ ფერში ან ფერისა და მეტალის გამოყენებით.

საქართველოს სახელმწიფო გერბთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (გერბის, ემბლემის) გამოსახვა მნიშვნელობის მიხედვით

საქართველოს სახელმწიფო მცირე გერბი

ავტონომიური რესპუბლიკის გერბი

საჯარო დაწესებულების ემბლემა

მუნიციპალიტეტის გერბი

1. საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო გერბს, ისევე როგორც ყველა სხვა გერბთან, სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (გერბთან, ემბლემასთან) მიმართებაში ენიჭება უპირატესობა და საპატიო ადგილი.
2. საქართველოს სახელმწიფო გერბი სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (გერბთან, ემბლემასთან) ერთად გამოისახება სახელმწიფო წარმომადგენლის ხელმარჯვნივ კიდეში.

3. სამი და მეტი კენტი გერბის და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (გერბის, ემბლემის) გამოსახვისას, სახელმწიფო გერბი გამოისახება შუაში.

4. ოთხი და მეტი ლუწი საქართველოს სახელმწიფო გერბის და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (გერბის, ემბლემის) ერთად გამოსახვისას საქართველოს სახელმწიფო გერბი გამოისახება სახელმწიფო წარმომადგენლის ხელმარჯვნივ შუა ადგილიდან პირველი.

დაუშვებელია:

1. საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოს (გერბის, ემბლემის) საქართველოს სახელმწიფო გერბის ზევით გამოსახვა.
2. საქართველოს სახელმწიფო გერბთან ერთად გამოისახოს საქართველოს სახელმწიფო გერბზე უფრო დიდი ზომის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (გერბი, ემბლემა).
3. საქართველოს სახელმწიფო გერბის, სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (გერბის, ემბლემის) გამოსახვა დაზიანებული სახით.

სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს (გერბის, ემბლემის) გამოსახვის სხვა შემთხვევები

1. სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლისას, ტრიბუნაზე გამოისახება ან საქართველოს სახელმწიფო გერბი ან დაწესებულების სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (გერბი, ემბლემა).
2. ორი სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლისას საქართველოს სახელმწიფო გერბი ან სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (გერბი, ემბლემა) გამოისახება ორივე წარმომადგენლის ტრიბუნაზე.
3. სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლისას სახელმწიფო გერბი გამოისახება ტრიბუნაზე, ხოლო წარმომადგენელის უკან, ზემოთ გამოისახება სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (გერბი, ემბლემა), ან პირიქით.



4. სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის სამუშაო ოთახში საქართველოს სახელმწიფო გერბი ან სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (გერბი, დროშა) გამოისახება წარმომადგენლის უკან, ზემოთ, შუაში.

5. სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის სამუშაო ოთახში სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (გერბი, დროშა) გამოისახება წარმომადგენლის უკან, ზემოთ, შუაში.

6. სახელმწიფო (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლის სამუშაო ოთახში საქართველოს სახელმწიფო გერბი სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსთან (გერბთან, ემბლემასთან) ერთად გამოისახება სახელმწიფო წარმომადგენლის ხელმარჯვნივ უკან, ზევით, კიდეში.